საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/153

07 სექტემბერი, 2021 წ. ქ. ბათუმი

სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N2 გადაწყვეტილების (ცვლილება N07-01/44, 06.08.2021 წ), ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილების (ცვლილება N07-01/45, 06.08.2021) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ,,სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი" (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი).**
2. სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტებს.
3. სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების მეშვეობით დაეგზავნოს ბსუ-ს პერსონალს.
4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის და სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაციის პროფესიული სტუდენტისათვის დაგზავნა და გაცნობა.
5. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის გათვალისწინებით მოამზადოს სტუდენტის გზამკვლევის შესაბამის ველში შესატანი ცვლილების პროექტი.

6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში და სტუდენტის გზამკვლევის ველში).
7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
8. ბრძანება ძალაშია ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, ასოც. პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის

07 სექტემბრის N01-02/ 153 ბრძანების

დანართი 1

სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტი (შემდეგში - ,,პოლიტიკის დოკუმენტი“) შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი“ ან/და ,,ბსუ“) წესდების, ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის საფუძველზე და ***მიზნად ისახავს*** უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას, სექსუალური შევიწროების პრევენციას და სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამისი მყისიერი რეაგირების განხორციელებას.
2. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ადგენს სექსუალური შევიწროების ფაქტზე სავარაუდო მსხვერპლის მიერ წარსადგენი საჩივრის ფორმას, მისი წარდგენის, სექსუალური შევიწროების ფაქტის მოკვლევის და შესატყვისი დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურას.
3. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ვრცელდება ბსუ-ის სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე, მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამების მსმენელებზე, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეულ პერსონალზე (მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებელთა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი) და სტაჟიორზე.
4. პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება **საუნივერსიტეტო სივრცეზე** (სამუშაო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული, კვებისა, და ჰიგიენის ობიექტები, საერთო საცხოვრებელი), ასევე სხვა სივრცეზე, სადაც შრომითი და საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება, საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე,

სასწავლო-სამსახურებრივ მივლინებებსა და სხვა საქმიან სოციალურ ღონისძიებებზე, ასევე სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებასთან, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული კომუნიკაციის წარმოების სივრცეზე, მათ შორის ისეთ კომუნიკაციაზე, რომელიც წარმოებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სოციალური მედია საშუალებების გამოყენებით.

5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საუნივერსიტეტო საზოგადოებაში (დოკუმენტი განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე, მათ შორის ,,სტუდენტის გზამკვლევის“ ველში, უფლებამოსილი პირი გააცნობს სტუდენტებსა და პერსონალს/სტაჟიორებს).
6. ბსუ-ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა (ფაკულტეტების დეკანების ოფისები, სასწავლო პროცესის დეპარტამენტი) უნდა უზრუნველყონ ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმებამდე მათთვის ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა.
7. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი განიხილება ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად, დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულების/დასაქმების სამართლებრივი აქტის ნაწილად.
8. საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) უნდა უზრუნველყოს კანდიდატისათვის/დასაქმებულისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა.

მუხლი 2. სექსუალური შევიწროების ცნება

1. სექსუალური შევიწროება არის დისკრიმინაციის ფორმა, პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
2. უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროების აკრძალვის შესახებ გაცხადებულია ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და წინამდებარე დოკუმენტით.
3. უნივერსიტეტად ჩაითვლება ნებისმიერი ადგილი, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნებისთვის (უნივერსიტეტის შენობები, შენობის გარეთ სივრცეები, მათ შორის შეხვედრების, მივლინების, ტრენინგების, კონფერენციების ადგილი, სოციალური ქსელი და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ადგილი).
4. სექსუალურ შევიწროებას აქვს ორი ფორმა:

ა) **მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ** (,,*Quid Pro Quo*"), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ;

ბ) **მტრული გარემოს** შექმნა - სამუშაო (ამ შემთხვევაში - ასევე საუნივერსიტეტო) სივრცეში დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი პირობების შექმნა.

5. სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ (სუბორდინაციულ) ურთიერთობებში.

6. **სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი ან მსხვერპლი** (შემდეგში ,,სავარაუდო შემავიწროებელი", ,,სავარაუდო მსხვერპლი") **შეიძლება იყოს:**

ა) ბსუ-ს აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პერსონალი და სტაჟიორი (შემდეგში - **დასაქმებული);**

ბ) ბსუ-ს სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი ან მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების ან გადამზადების პროგრამის მსმენელი **(შემდეგში - სტუდენტი);**

გ) პირი, რომელიც ბსუ-სთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ან მემორანდუმის/შეთანხმების ფარგლებში ახორციელებს საქმიანობას უნივერსიტეტში.

დ) ნებისმიერი მესამე პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება ამავე მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა", ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილმა პირებმა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პროცესში განახორციელა.

მუხლი 3. კონფიდენციალურობა

1. სექსუალური შევიწროების საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის მაქსიმალურ დაცვას იმ ფარგლებით, რაც აუცილებელია უნივერსიტეტზე კანონით გათვალისწინებული მოვალეობების, საქმისწარმოების სავარაუდო მსხვერპლის სურვილით დაწყების, სექსუალური შევიწროების ფაქტის აღკვეთისა და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობით.

2. კონფიდენციალურობა არის უმთავრესი პრინციპი ისეთი უსაფრთხო გარემოსა და კულტურის შესაქმნელად, სადაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ან/და შევიწროების შესახებ ინფორმაციის მფლობელი მესამე პირები, თავისუფლად შეძლებენ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებას, კომისიის მუშაობის ხელშეწყობას, ასევე დაცული იქნება სავარაუდო შემავიწროებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რეპუტაცია, პრევენცირებულ იქნება მსხვერპლის შემდგომი ვიქტიმიზაცია და ხელშეწყობილი იქნება კომისიის მუშობის დამოუკიდებლობა.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ისეთი უსაფრთხო გარემოსა და კულტურის შექმნას, რომელშიც ჩართული საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრი, ვინც სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმაციას მიიღებს ან ჩართული იქნება ამგვარი შემთხვევის განხილვასა და მოკვლევაში, დაიცავს კონფიდენციალურობას,

რათა დაცული იქნეს ყველა პირის უფლება, მათ პირად სივრცეში დაუსაბუთებელი შეჭრის თავიდან აცილებისა და სექსუალური შევიწროების ფაქტის მოკვლევის სრულყოფილად წარმართვისათვის.

4. უნივერსიტეტი ყველა გონივრულ საშუალებას გამოიყენებს, რათა დაიცვას ერთი მხრივ კონფიდენციალურობა, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოს დისკრიმინაციისაგან, სექსუალური შევიწროებისაგან თავისუფალი საუნივერსიტეტო გარემოს არსებობა.

5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირები და სხვა პერსონალი, სექსუალური შევიწროების ფაქტზე საჩივრის მიმღები პირები, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის განმხილველი კომისიის წევრები, სავარაუდო მსხვერპლი, სავარაუდო შემავიწროებელი, მათი წარმომადგენლები და საქმის შესწავლის პროცესში ჩართული ნებისმიერი სხვა პირი, ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა, არ გახადოს საჯარო ამ პროცესში მიღებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.

6. წინამდებარე მუხლში აღნიშნული კონფიდენციალურობის დარღვევად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევები, როცა ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ხორციელდება ინფორმაციისა და დოკუმენტების გამოთხოვა უფლებამოსილი პირების მიერ ან სექსუალური შევიწროების მტკიცებულება სავარაუდო მსხვერპლის მიერ გავრცელდა საჯარო სივრცეში (სოციალურ მედიაში ატვირთული ვიდეო/ფოტო) ან/და ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებებით (ადამიანი სიცოცხლისათვის საშიში თვითდაზიანების რისკის წინაშე დგას ან არის რისკი, რომ ეს პირი სხვებს დააზიანებს; უნივერსიტეტის ან/და სხვა ფართო საზოგადოების მიმართ უსაფრთხოების რისკი არსებობს; კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნაა და სხვა).

7. სექსუალური შევიწროების საქმისწარმოების მხარეები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კეთილსინდისიერად და დაიცვან კონფიდენციალურობის ვალდებულება მოკვლევის/საქმისწარმოების დასრულებამდე იმგვარად, რომ ზიანი არ მიაყენონ ერთმანეთის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

8. ყველა სუბიექტი ვალდებულია გამოიჩინოს პატივისცემა წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიმართ და ბოროტად არ ისარგებლოს მისი დებულებებით, ცრუ და არაკეთილსინდისიერი ბრალდების წაყენების გზით.

9. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების თაობაზე საჩივრის შემტანი პირის წინააღმდეგ შურისძიება, ძალაუფლების გამოყენების ნებისმიერი ფორმით. თუ მომჩივანი თვლის, რომ მის წინააღმდეგ განხორციელდა შურისძიება, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს რექტორს, ფაკულტეტის დეკანს ან საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, რაც შესაძლოა გახდეს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

10. სექსუალური შევიწროების ფაქტის განმხილველი კომისიის მუშაობის სრული დოკუმენტაცია ინახება უნივერსიტეტის კანცელარიაში, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით.

მუხლი 4. სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

1. სავარაუდო მსხვერპლის საჩივარი წარედგინება მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს - ბსუ-ს **ფსიქოლოგიის კლინიკის კოორდინატორს**, შესაბამისი **ფაკულტეტის დეკანს** - სტუდენტის შემთხვევაში ან პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის დირექტორს** - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში.
2. სექსუალური შევიწროვების საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირი/პირების, ასევე საჩივრის ელექტრონულად წარდგენისათვის შესაბამისი ელ.ფოსტის მისამართის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ფაკულტეტების/უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
3. სავარაუდო მსხვერპლის საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირი:

ა) უზრუნველყოფს სავარაუდო მსხვერპლის პირველად კონსულტირებას, დეტალურად გააცნობს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტს, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება საჩივრის შედგენაში და აწვდის ინფორმაციას განსახორციელებელი მოკვლევის პროცედურების შესახებ;
ბ) მომჩივანის თხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან ან/და უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრის ორგანიზებას, კონფიდენციალობის დაცვით;
გ) უზრუნველყოფს სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით ეფექტური მოკვლევის ღონისძიებების შესახებ, ასევე სავარაუდო მსხვერპლის საგანმანათლებლო ან შრომითი საქმიანობის წარმართვის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრამდე განსახორციელებელი ღონისძიებების (ფსიქოლოგიური დახმარება და სხვა) შესახებ წინადადების რექტორისათვის წარდგენას;
დ) სექსუალური შევიწროების ფაქტის მომკვლევი კომისიის წევრების შესახებ სავარაუდო მსხვერპლის ინფორმირებას (კომუნიკაცია წარიმართება ზეპირი და წერილობითი ფორმით) და ამ უკანასკნელის მხრიდან აცილების წინადადებების რექტორისათვის წარდგენას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) კომისიის მიწვევით (თუკი კომისიის შემადგენლობაში არ იქნება) მონაწილეობს მოკვლევის პროცესში (უწევს კონსულტაციას, სხვა საორგანიზაციო ან/და ტექნიკურ დახმარებას).

მუხლი 5. სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივარი და მისი წარდგენა

1. ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი.
2. სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილია წარადგინოს საჩივარი ზეპირი ან წერილობითი ფორმით **(თანდართული ფორმა N1).** საჩივრის ზეპირი ფორმით წარდგენის შეთხვევაში, საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირი კონსულტაციას

უწევს, ეხმარება სავარაუდო მსხვერპლს საჩივრის წერილობითი ფორმით შედგენაში.

3. სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში უთითებს სავარაუდო შემავიწროებლის სახელს და გვარს, დაკავებულ თანამდებობას, მასთან საგანმანთლებლო/სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენის დროს, ადგილს და სხვა ინფორმაციას, რაც წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის თანდართულ ფორმაშია აღნიშნული.

4. სავარაუდო მსხვერპლმა/მომჩივანმა, არსებობის შემთხვევაში, საჩივარს უნდა დაურთოს მტკიცებულებები (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ).

5. სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილია სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის განხილვის/მოკვლევის პროცესში ჰყავდეს წარმომადგენელი.

6. საჩივრის წარდგენისას სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილია საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილ პირს განუცხადოს **ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გაეწიოს მას ბსუ-ს ფსიქოლოგიური კლინიკის სპეციალისტის მიერ** ან/და განუცხადოს სავარაუდო შემავიწროებელთან კომუნიკაციის არასასურველობის/დაუშვებლობის შესახებ, რათა მოკვლევის დასრულებამდე უნივერსიტეტმა მიიღოს შესაბამისი დროებითი და ასევე აღმკვეთი ღონისძიება, რაც გამორიცხავს ან მაქსიმალურად შეამცირებს სავარაუდო შემავიწროებლისა და სავარუდო მსხვერპლის შეხვედრას/კომუნიკაციას. ასეთი დროებითი ღონისძიება შეიძლება იყოს:

ა) სავარუდო მსხვერპლი სტუდენტის შემთხვევაში - უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული რომელიმე ღონისძიება, მაგალითად სხვა სტუდენტთა ჯგუფში გადაყვანა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელის სხვა სივრცეში გადაყვანა ან/და სხვა;

ბ) სავარუდო მსხვერპლი დასაქმებულის შემთხვევაში - შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება (დასაქმებულის ნებით ანაზღაურებად ან ანაზღაურების გარეშე შვებულებაში გასვლა, დროებით სხვა სტრუქტურულ ერთეულში სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა, სამუშაოს დისტანციურად შესრულების შესაძლებლობის მიცემა, სამუშაო განრიგისა ან/და დროის ცვლილება ან/და სხვა).

7. საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სავარაუდო მსხვერპლის საჩივარს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს, რომელიც განსაზღვრავს საჩივრის განმხილველი კომისიის სავარაუდო შემადგენლობას.

8. საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით სექსუალური შევიწროების სავარუდო მსხვერპლის საჩივარი ეცნობება სავარაუდო შემავიწროებელს და ამასთან, გაეწევა კონსულტაცია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით საჩივრის განხილვის პროცედურების შესახებ.

9. საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, რექტორთან შეთანხმებით, კომისიის სავარაუდო შემადგენლობის შესახებ ეცნობება სავარაუდო მსხვერპლს და

სავარაუდო შემავიწროებელს. კომისიის წევრთან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი უფლებამოსილია, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, მოითხოვოს კომისიის რომელიმე წევრის ჩანაცვლება. აღნიშნულ შუამდგომლობას განიხილავს ბსუ-ს რექტორი და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას - გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 6. სექსუალური შევიწროების ფაქტის მომკვლევი კომისია, მოკვლევის პროცესი და ვადა

1. **სექსუალური შევიწროების** საკითხთან დაკავშირებული საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ (იქმნება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საჩივრის წარდგენიდან **10 კალენდარულ დღეში).**
2. სექსუალური შევიწროვების საკითხის განმხილველი კომისია (შემდეგში - კომისია) უნდა დაკომპლექტდეს **არანაკლებ 5 წევრით და მისი** ფორმირებისას, შეძლებისდაგვარად, დაცული უნდა იყოს გენდერული ბალანსი. კომისიის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს აღნიშნულ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების ან/და სპეციალური მომზადების მქონე პირი.
3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს ბსუ-ს ფსიქოლოგიის კლინიკის პერსონალი ან ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი, ასევე ბსუ-ს სტუდენტი (თუკი სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი არის სტუდენტი). დასაშვებია კომისიის წევრად მოწვეული იქნეს დამოუკიდებელი სპეციალისტი/ექსპერტი სხვა საგანმანათლებლო ან/და სექსუალური შევიწროების საკითხის განხილვის კომპეტენციის მქონე დაწესებულების წარმომადგენელი.
4. სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის დადგენის მიზნით კომისია:

ა) **გამოკითხავს საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილ პირს** - საჩივრის მიღების პროცესში ან მას შემდეგ ამ პირთან სავარაუდო მსხვერპლის ან სავარაუდო შემავიწროებლის კომუნიკაციისა და მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

ბ) **გამოკითხავს სავარაუდო მსხვერპლს** - (არკვევს ძალაშია თუ არა მის მიერ წარდგენილი საჩივარი, დადებით შემთხვევაში აზუსტებს და იკვლევს საჩივარში გაცხადებულ ინფორმაციას, მათ შორის შესაძლებელია დაუსვან შემდეგი შეკითხვები: ვინ, რა, როდის და როგორ ჩაიდინა სავარაუდო შევიწროება? როგორი რეაქცია ჰქონდა სავარაუდო მსხვერპლს? ხომ არ აისახა და როგორ მის სასწავლო პროცესზე ან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაზე, სამუშაოს განხორციელებაზე, ჯანმრთელობაზე? არის თუ არა ვინმე, ვინც შესაძლოა ფლობდეს ინფორმაციას სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით? იყო თუ არა ვინმე ფაქტის მოწმე? სავარაუდო შემავიწროებლის მიერ ხომ არ ხდება სხვა პირის შევიწროებაც? ხომ არ განუცხადებია იმავე სავარაუდო შემავიწროებლის მიმართ სხვა პირს იგივე/მსგავსი პრეტენზია/საჩივარი სხვა უწყებაში? ხომ არ არსებობს რაიმე ჩანაწერი, ნივთმტკიცება ან სხვა დოკუმენტაცია ინციდენტთან დაკავშირებით? როგორ ისურვებდა

სავარაუდო მსხვერპლი ამ სიტუაციის მოგვარებას? ხომ არ საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას ამ ფაქტის მიზეზით? როგორი ტიპის აღმკვეთი ღონისძიების გატარებას მიიჩნევს სასურველად, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს უნივერსიტეტმა, რაც გამორიცხავდა სავარაუდო შემავიწროებელთან მის კომუნიკაციას?;

გ) **გამოკითხავს სავარაუდო შემავიწროებელს** - იკვლევს საჩივარში გაცხადებულ ინფორმაციას, მათ შორის შესაძლებელია დაუსვან შემდეგი შეკითხვები: როგორ უპასუხებთ სავარაუდო მსხვერპლის საჩივარში აღნიშნულ ბრალდებას? თუკი მიიჩნევთ, რომ ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება, რას უნდა გამოეწვია ასეთი შინაარსის საჩივრის წარმოდგენა? ხომ არ არის სხვა პირი, ვინც ფლობს შესაბამის ინფორმაციას ამ ფაქტზე? ხომ არ არსებობს რაიმე ჩანაწერები, ნივთმტკიცება ან სხვა დოკუმენტაცია ინციდენტთან/ინციდენტებთან დაკავშირებით? რა მიუთითებს იმაზე, რომ ადრესატისთვის სასურველად აღიქვით მისი ქცევა? ხომ არ იცით სხვა შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შესახებ? და სხვა კითხვები.;

დ) **გამოკითხავს მესამე პირებს** - რომლებიც მითითებული იქნა სავარაუდო მსხვერპლის ან სავარაუდო შემავიწროებლის მიერ ან საკუთარი ინიციატივით მიმართეს რექტორს/საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ან კომისიას და რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნულ მესამე პირებთან უნდა დაზუსტდეს და გამოკვლეულ იქნეს საჩივარში აღნიშნული ფაქტები, რომლებიც უკავშირდება სექსუალური შემავიწროებლის მსგავს ქმედებას სხვა პირის/პირების მიმართ, მათ შორის შესაძლებელია დაუსვან შემდეგი შეკითხვები: როდის მოხდა ინციდენტი? რა დაინახეთ და გაიგონეთ? აღწერეთ სავარაუდო შემავიწროებლის ქცევა, მათ შორის სხვა პირების მიმართ/ თანაჯგუფელებთან/სხვა სტუდენტებთან/დასაქმების ადგილას კოლეგებთან; თქვენ რა გითხრათ სავარაუდო მსხვერპლმა, რა იცით საქმის შესახებ, რაც მისგან გაიგეთ? ხომ არ იცით სხვა შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შესახებ? ხომ არ არის ვინმე, ვისაც შესაბამისი ინფორმაცია ექნებოდა?

ე) იკვლევს მომჩივანის/სავარაუდო მსხვერპლის, სავარაუდო შემავიწროებლის ან/და სხვა პირთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

ვ) აწარმოებს წერილობით ან/და ზეპირ კომუნიკაციას სავარაუდო მსხვერპლთან, სავარაუდო შემავიწროებელთან და მესამე პირებთან, კონფიდენციალურობის დაცვით (ამ მიზნით პირთა გამოკითხვა უნდა წარმოებდეს გამოსაკითხი პირთა ინტერესის გათვალისწინებით მაქსიმალურად მოსახერხებელ ადგილას და დროს; დასაშვებია ტელეფონით და ვიდეო ზარის/zoom -ის პლატფორმის გამოყენებით კომუნიკაცია; დაუშვებელია სამუშაო ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სივრცეში გამოკითხვის წარმოება).

ზ) უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს განმარტების მისაღებად შესაბამისი პირები და გამოითხოვოს უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტები და დაამუშაოს ის პერსონალური ინფორმაცია, რაც უშუალოდ უკავშირდება სექსუალური შევიწროების ფაქტის მოკვლევის მიზანს და არ არღვევს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

თ) უფლებამოსილია მოითხოვოს სხდომაზე სპეციალისტის (სპეციალური ცოდნის მქონე პირის) მოწვევა, შესაბამისი კონსულტაციის მიღების მიზნით;

ი) უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სავარაუდო მსხვერპლის, სავარაუდო შემავიწროებლის და სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებული/ფაქტის მოწმე/მსგავსი ფაქტის შესახებ განმცხადებელი მესამე პირების მიმართ ამ პოლიტიკის დოკუმენტის მე-5 მუხლში აღნიშნული დროებითი ღონისძიებების (მოკვლევის პროცესის დასრულებამდე) განხორციელების წინადადებებით, ასევე კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე უკვე გამოყენებული დროებითი ღონისძიების გაუქმების/სხვა დამატებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე;

კ) უნდა შეადგინოს დასკვნა (გასცეს რეკომენდაცია, შეიმუშაოს წინადადებები) სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივარში აღნიშნული ფაქტის გაანალიზების საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საჩივრის წარდგენის შემდეგ სავარაუდო მსხვერპლი უარყოფს/მხარს არ დაუჭერს წარდგენილი საჩივრის განხილვას. კომისიის მიერ ამ ვალდებულების შესრულება მოემსახურება უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციას და უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

5. სექსუალური შევიწროების საკითხის განმხილველი კომისიის სხდომები დახურულია. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუკი ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მდივანი და წევრები. კომისიის სხდომის ოქმს აწარმოებს კომისიის მდივანი, ხოლო ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
6. კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღიწეროს კომისიის სხდომის მიმდინარეობის პროცესი, მუშაობის პროცესში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, გამოკვლეული მტკიცებულებები, მიღებული გადაწყვეტილებები.
7. სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით კომისია **გადაწყვეტილებას იღებს არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.** თუკი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, 1-თვიანი ვადის გასვლამდე 10 დღით ადრე, უნივერსიტეტის რექტორი, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს მოკვლევის ვადის დამატებით არაუმეტეს 1 თვით გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 7. კომისიის გადაწყვეტილება და დისციპლინური სახდელების სახეები

1. კომისიამ შეიძლება მიიღოს 2 სახის გადაწყვეტილება:

ა) სავარაუდო შემავიწროებელს არ ცნობს დამრღვევად;
ბ) სავარაუდო შემავიწროებელს ცნობს დამრღვევად. ასეთ შემთხვევაში კომისიის დასკვნაში აღინიშნება ჩადენილია **მძიმე კატეგორიის თუ ძალიან მძიმე კატეგორიის (უხეში) დარღვევა.** ჩადენილი დარღვევის სიმძიმე ფასდება დამრღვევის და სავარაუდო შემავიწროებლის პიროვნების, ჩადენილი ქმედების ხასიათის, გავრცელების მასშტაბის, განმეორებითობის და სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით.
2. სექსუალური შევიწროების საკითხის განმხილველი კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირებისათვის ან/და შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სახდელის დადების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ეგზავნება:

ა) რექტორს - სტუდენტის, მსმენელის, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი) და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელის შემთხვევაში;
ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - დამხმარე პერსონალის შემთხვევაში;
გ) შესაბამის მართვის ორგანოს (აკადემიური ან წარმომადგენლობით საბჭოს) - უნივერსიტეტის ერთპიროვნული მართვის ორგანოს შემთხვევაში (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურის ხელმძღვანელი).

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრების და უსაფრთხოების დაცვას.

4. უნივერსიტეტის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:
ა) შეუფარდოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, თუკი ჩადენილია მძიმე კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა;
ბ) შეუფარდოს დისციპლინური სახდელი - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, თუკი ჩადენილია ძალიან მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა.

5. უნივერსიტეტის დასაქმებულის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, უნივერსიტეტის რექტორი ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (მათ კომპეტენციის შესაბამისად) უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:
ა) შეუფარდოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, თუკი ჩადენილია მძიმე კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა;
ბ) შეუფარდოს დისციპლინური სახდელი - დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება/შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი ჩადენილია ძალიან მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა.

6. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების აკრძალვის დამრღვევისათვის შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

პოლიტიკის დოკუმენტის ფორმა N1

სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივარი

(რჩევა: თუ მიგაჩნიათ, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდით, გთხოვთ შეავსოთ ეს ფორმა და გადასცეთ საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილ პირს (სავარაუდო მსხვერპლის საჩივარი წარედგინება მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს - ბსუ-ს ფსიქოლოგიის კლინიკის კოორდინატორს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს - სტუდენტის შემთხვევაში ან პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში)).

ინფორმაცია მომჩივნის შესახებ:

სახელი და გვარი:

საგანმანათლებლო დაწესებულება:

სამუშაო ადგილი/დაკავებული თანამდებობა (ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/დამხმარე თანამდებობა/მოწვეული ხელშეკრულებით/სტაჟიორი);

აკადემიური სტატუსი (სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი):

მობილური ტელეფონის ნომერი:

ელ-ფოსტა:

მომჩივანის საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) მობილური:

ბ) ელ. ფოსტა:

გ) სოციალური ქსელი:

მომჩივანთან საჩივართან დაკავშირებული კომუნიკაციის სასურველი საშუალება:

- ელ-ფოსტა;
- მობილური ტელეფონი;
- პირისპირ კომუნიკაცია.

II: ინფორმაცია უშუალო ხელმძღვანელის/სტრუქტურული ერთეულის/ფაკულტეტის შესახებ:

ა) სტრუქტურული ერთეულის დასახელება:
ბ) სტრქტურული ერთეულის უფროსის სახელი და გვარი:
გ) სტრქტურული ერთეულის უფროსის მობილურის ტელეფონის ნომერი:

III. ინფორმაცია საჩივრის შესახებ:

1. **პირი, რომელმაც განახორციელა სავარაუდო სექსუალური შევიწროება (სავარაუდო შემავიწროებელი):**

სახელი და გვარი:

თანამდებობა/აკადემიური სტატუსი:

სამუშაო ადგილი/სტრუქტურული ერთეული/საგანმანათლებლო ერთეული/საგანმანათლებლო კურსი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

სამსახურებრივი/აკადემიური კავშირი (აღწერა)

---

2. **გთხოვთ, აღწეროთ, რა მოხდა -** სექსუალური შევიწროების ფაქტის (ფაქტების) თარიღი (თარიღები), დრო და ადგილი (ადგილები)**:**

---

*არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, გამოიყენოთ დამატებითი ფურცლები და დაურთოთ ნებისმიერი სათანადო დოკუმენტი ან მტკიცებულება.

3.. ქვემოთ აღწერეთ და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

აცნობეთ თუ არა ქცევის არასასურველობის შესახებ სავარაუდო შემვიწროებელს? რა ფორმით გამოხატეთ თქვენი მიუღებლობა ქცევის მიმართ? თუკი აცნობეთ, განხორციელდა თუ არა ქცევა განმეორებით მას შემდეგ რაც აცნობეთ ქცევის არასასურველობის შესახებ? თუ არ აცნობეთ, რა იყო ამის მიზეზი, ხელშემშლელი გარემოება?

---

4. გთხოვთ, ჩამოთვალოთ მოწმეების ან ნებისმიერი სხვა პირის სახელი/გვარი/პოზიცია და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ინფორმაცია საჩივარში მითითებული ფაქტების თაობაზე, ასევე მიუთითეთ საჩივარში აღნიშნული სათანადო მტკიცებულება (არსებობის შემთხვევაში).

---

5. ამჟამად გრძელდება თუ არა სექსუალური შევიწროება?

- დიახ (რით გამოიხატება თქვენი კომუნიკაცია სავარაუდო შემვიწროებლის მიმართ?)
- არა.

6. მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს ინციდენტი თქვენზე და თქვენს საქმიანობაზე და დაგჭირდათ თუ არა სამედიცინო/ფსიქოლოგიური/სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტაცია ან დახმარება?

---

7. **წარგიდგენიათ თუ არა მანამდე საჩივარი ან ინფორმაცია (სიტყვიერად ან წერილობით) მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით?** თუ თქვენი პასუხია „დიახ“, როდის და ვის წარუდგინეთ საჩივარი ან მიაწოდეთ ინფორმაცია?

---

8. საჩივრის განხილვის დასრულებამდე ეთანხმებით თუ არა დროებით დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე ან სხვა განყოფილებაში/სასწავლო კურსზე გადასვლას? ეთანხმებით თუ არა იმას, რომ უნივერსიტეტმა აკრძალოს თქვენი და სავარაუდო შემავიწროებლის კავშირი საუნივერსიტეტო სივრცეში?

10. თუ კონსულტაციისათვის/დახმარებისთვის ადვოკატს მიმართეთ და გსურთ, მასთან ვითანამშრომლოთ, გთხოვთ, მოგვაწოდოთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია:
---

11. მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია, რაც ამ საჩივრის ფორმაში არ არის მითითებული, მაგრამ მიიჩნევთ, რომ ხელს შეუწყობს საკითხის სწრაფად და ეფექტურად მოკვლევას (თქვენი სურვილისამებრ)

საჩივრის წარმოდგენის თარიღი:

მომჩივანის ხელმოწერა: